ქართული ებრაელობის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის

მიხაილ ბარკანი
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: barata49@mail.ru

რეზიუმე

სტატია მიმოიხილავს ებრაელთა და ქართველთა ისტორიულ მეგობრობას 26 საუკუნის მანძილზე. იგი ეძღვნება ებრაელთა როლსა და ადგილს ქართული სახელმწიფოსა და რელიგიის ისტორიაში.

გარდა ამისა, სტატიაში განხილულია ისრაელისა და საქართველოს ურთიერთთანამშრომლობის ზოგიერთ საკითხს ეკონომიკაში, პოლიტიკაში და სხვა ურთიერთობებში.

საკვანძო სიტყვები:
ქართველი ებრაელობა
26 საუკუნე
კევრული
ალია

შესავალი

ებრაელთა გადმოცემებით, ისინი საქართველოში ჩვ. წელთ აღრიცხვამდე მე-8 საუკუნიდან ცხოვრობენ, ხოლო ორი საუკუნით უფრო გვიან მათ მეორე ნაკადი შეუერთდათ.

საქართველოში ითვლება, რომ ებრაელები აქ გამოჩნდნენ ტერიტორიაზე მე-6 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მას შემდეგ, რაც იერუსალიმი ბაბილონის მეფემ, ნაბუქოდონოსრმა დაიპყრო. ლტოლვილმა ებრაელებმა მიატოვეს ბაბილონის სამეფო და აღმოსავლეთ საქართველოში გამოჩნდნენ, სადაც მცხეთაში და მის შემოგარენში - მდინარე ქსნის ხეობაში დასახლდნენ. ცნობილია, რომ მცხეთაში ებრაელთა ლოკალური დასახლების უბნები არსებობდა უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში. ქართველები ხშირად ახსენებენ და ამაყობენ ებრაელი და ქართველი ხალხის 26-საუკუნოვანი მეგობრობით.

1. ებრაელთა გამოჩენა საქართველოში

„ქართლის ცხოვრებაში" ნახსენებია, რომ ქართლში გადმოსახლებული ებრაელები მონაწილეობას იღებდნენ იბერიაში (იგივე ივერია) ქრისტიანობის გავრცელებაში. ორი ქართლელი ებრაელი - ლონგინოზი და ელიოზი - შეესწრნენ მაცხოვრის ჯვარცმას და გადმოცემით, ჩამოიტანეს ქართლში, კერძოდ, მცხეთაში, მისი ტანისამოსის ნაწილი. ქრისტიანობის ერთერთი უმთავრესი რელიქვიის, - ქრისტეს პერანგის დაფლვის ადგილზე აშენებულია სვეტიცხოველი, როგორც მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება". მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში შაჰ აბას I ხელთ იგდო ქრისტეს პერანგი და მეგობრობის ნიშნად რუსეთის მეფეს, მიხაილ ფიოდოროვიჩს გაუგზავნა. ქართველთა მემატიანეები ირწმუნებიან, რომ აბასს ნამდვილი რელიქვია არ ჩავარდნია ხელთ, მან რუსების მეფეს სხვა რელიქვია უძღვნა საჩუქარად, ხოლო პერანგი ისევ საქართველოში, მცხეთის სვეტიცხოველში შენახულიო. ქართველი ქრისტინებისათვის ეს ნიშანია იმისა, რომ საქართველო ღვთითკურთხეული ქვეყანაა და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა და მისია ეკისრება კაცობრიობის ისტორიაში (ქართული მესიანიზმი).

გადმოცემებით, ქართველმა ებრაელებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქართლის (იბერიის) მეფის, მირიანის მიერ ქრისტიანობის მიღებაში. ქართული ეკლესია თვლის, რომ საქართველოს განმანათლებელმა, წმინდა ნინომ, გააქრისტიანა მცხეთის ებრაელთა მთავარი - აბიათარი, მისი ქალიშვილი სიდონია და კიდევ რამდენიმე ებრაელი ქალი. მირიანი, რომელიც სიმპათიით იყო განწყობილი აბიათარის მიმართ, ესაუბრებოდა ხოლმე მას ქრისტიანობაზე და რამოდენიმე ბიბლიური ტექსტიც კი წაუკითხავს აბიათართან ერთად.

ბაგრატოვანთა ქართული სამეფო დინასტია საკუთარ წინაპრად ბიბლიურ მეფეს, დავითსა და მის წინამორბედებს თვლიდა და აქაც ვხვდებით ქართული მესიანიზმის ნიშნებს, ანუ წარმოდგენას საქართველოს, როგორც „ახალი იერუსალიმის", შესახებ.

არაბთა შემოსევამდე, რომელიც მე-7 საუკუნეში მოხდა, ქართველი ებრაელები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქართლის ცხოვრებაში. არაბობის პერიოდში ქართველ ებრაელთა წიაღში გაჩნდა სექტა, რომლის დამფუძნებელი აბუ-იმრან მუსა (მოშე) აზ-ზაფრანი იყო. იგი თბილისში ბაღდადიდან ჩამოსულა და სექტას „თბილისური" ერქვა. როგორც ჩანს, ისინი აღიარებდნენ ერთგვარ სინკრეტულ სარწმუნოებას, რომელიც იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის ელემენტებს ატარებდა.

2. შუა საუკუნეების ქართველი ებრაელობა

მონღოლობის დროს ქართლიდან უამრავი ებრაელი გადასახლდა დასავლეთ საქართველოში. ერთ-ერთი პირველი რეგიონი, სადაც აბრაელები დასახლდნენ, ლეჩხუმი იყო. აქ, სოფელ ლაილაშში, აღმოჩენილი იყო ძვირფასი ისტორიული ძეგლი - ე.წ. ლაილაშის ბიბლია, რომელიც ებრაულ ენაზეა დაწერილი. ამ სოფელში ებრაელები იმ დროიდან ცხოვრობენ და ვაჭრობენ, აქვთ საკუთარი სინაგოგა.

საინტერესოა, რომ მეზობელ სვანეთში დიდი ხნის განმავლობაში იგრძნობოდა ებრაელთა ზეგავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე, რომელთაც გადაიღეს რამდენიმე ებრაული წეს-ჩვეულება და ქრისტიანულ რიტუალებშიც კი ჩართეს ისინი.

მონღოლთა შემოსევისა და ფეოდალიზმის გაძლიერების შემდეგ, ებრაელთა უმეტესობა ყმებად ან ხელოსნებად იქცა. ისინი თავადებსა და საეკლესიო ფეოდალებს ეკუთნოდნენ. ებრაელი ხელოსნებისათვის ტრადიციულ ხელობას ფეიქრობა და მღებრობა წარმოადგენდა. ხშირად მათ საქმიანობას წვრილმანი ვაჭრობა ან სხვა რამ შედგენდა, საიდანაც ხარკს უხდიდნენ საკუთარ ბატონებს. თავისუფალი ებრაელების მცირერიცხოვანი რაოდენობა ქალაქებში ცხოვრობდა. აღმოსავლეთი და დასავლეთი ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, ქართველი ებრაელები ამ დროს სოციალური იერარქიის ქვედა საფეხურებზე იდგნენ და არ ფლობდნენ რაიმე სერიოზულ კაპიტალს, რათა მსხვილი მევახშეობა და ვაჭრობა განეხორციელებინათ.

შუა საუკუნეებში ქართველი ებრაელები ძირითადად ცხოვრობდნენ ისეთ სოფლებში, როგორებიცაა: აბასთუმანი, ახალდაბა, ბარეთელი, ბებნისი, თამარაშენი, თხაჭირი და სხვა. ებრაელების ნაწილმა კი ამ დროისათვის გამოისყიდეს თავი და ყირიმში გადასახლდნენ (XV-XVI საუკუნეები).

საქართველოს ებრაელები თავისუფლად ფლობდნენ ქართულ დიალექტებს, თუმცა ყოველდღიურობაში ისინი საკუთარ დიალექტს - კევრულს - იყენებდნენ. კევრულში სიტყვათა უმრავლესობას ძველი ებრაული ენიდან იყო გადმოტანილი. როცა საქართველოში დაიწყო გვარების ფორმირება, ებრაული გვარებიც იმავე პრინციპით იქმნებოდა. მაგალითად, ისინი შეიცავდნენ სიტვას „შვილი". ამან განაპირობა ქართული და ებრაული გვარების მსგავსება, თუმცა, არსებობს გვარები, რომლებიც მხოლოდ ებრაელებში გვხვდება - ხანანაშვილი, რიჟიაშვილი, ციცუაშვილი და მრავალი სხვ.

საქართველოს სამეფოებისა და სამთავროების რუსეთის იმპერიაში შესვლამ შეცვალა ქართველ ებრაელთა ცხოვრებაც. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ებრაელებმა უბნებად იწყეს დასახლება ისეთ მსხვილ ქალაქებში და სოფლებში, როგორიცაა თბილის, ქუთაისი, ახალციხე, ონი, ბათუმი, საჩხერე, კულაში, სურამი, ქარელი, ბანძა და სხვა. მათ უფრო აქტურად მიყვეს ხელი ვაჭრობას და კომერციულ საქმიანობას, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მათი ეკონომიური მდგომარეობა. შემთხვევითი არაა, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში გააქტიურდა ანტისემიტური განწყობები. მოსახლეობა დაიწყო რამდენიმე ცილისმწამებლური კომპანია, რომლის დროსაც ბრალს დებდნენ ებრაელებს ქრისტიანი ბავშვების მკვლელობასა და მათი სისხლის მაცაში გარევისათვის. ყველაზე დიდი გამოხმაურება 1878 წელს ქუთაისში მომხდარმა პროცესმა გამოიწვია, რომელზეც ცხრა საჩხერელი ებრაელი გაასამართლეს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ მათ გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა, ადგილობრივი მოსახლეობა ამ განაჩენს არ ენდობოდა.

1895 წელს ქუთაისში მოხდა ებრაელების რამდენიმე დარბევა., რასაც ებრაელი ისტორიკოსები რუსეთის გავლენასა და ადგილობრივი ებრაელების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას მიაწერენ.

ამავდროულად ამიერკავკასიაში ხდებოდა აშკენაზი-ებრაელების გადმოსახლება ლიტვიდან და რუსეთის იმპერიის სხვა რეგიონებიდან. აშკენაზისთან ართად საქართველოს რეგიონებში გადმოსახლდა მრავალი ებრაელი-ხასიდი. ამან ადგილობრივი ქართველი ებრაელების რელიგიური თვითშეგნების მკვეთრი ზრდა და სიონიზმის იდეების განვითარება და გავრცელება სდევდა თან. სიონიზმის ერთ-ერთი პირველი გამავრცელებელი ცხინვალში დაბადებული და გაზრდილი დავით ბააზოვი იყო. მისი შვილი, ჰერცელ ბააზოვი, ქართველი მწერალი და დრამატურგი გახდა. ბააზოვისა და მისი მეგობრების აქტიურობის შედეგად, ჯერ კიდევ რევოლუციამდე დაიწყო საქართველოდან პირველი ალია და ებრაელი რეპატრიანტების უმრავლესობა პალესტინაში აღმოჩნდა. იერუსალიმში ქართველი ებრაელების უბანი არსებობს სწორედ ისე, როგორც ადრე ქართულ ქალაქებში არსებობდა.

3. ქართველი ებრაელობა თანამედროვე ეტაპზე

მე-20 საუკუნეში საქართველოს ებრაელთა შორის გამოჩნდა ე.წ. ასიმილანტთა დაჯგუფება, რომლებიც მოუწოდებდნენ ქართველებსა და ებრაელებს შერწყმისაკენ, ვინაიდან მათი გაგებით,

ქართველი ებრაელები იგივე ქართველები არიან, ოღონდ სხვა სარწმუნოების. რებე ბაზოვმა და რამდენიმე სხვა ებრაელმა მოღვაწემ, ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) მხრადაჭერით, დაიწყეს ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

საბჭოთა დროს საქართველოს ებრაელები გამოირჩეოდნენ იმით, რომ ერთ-ერთმა პირველმა დაიქყეს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების მცდელობა. ეს მოხდა 60-70-იან წლებში. საქართველოს იმდროინდელმა ხელმძღვანელმა, ედუარდ შევარდნაძე სიმპათიით იყო განმსჭვალული ალიას მიმართ და რამდენადაც შეეძლო ხელსაც კი უწყობდა მას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ებრაელები საბჭოთა დროს საკმაოდ ძლიერ პოზიციას იკავებდნენ ქართულ ჩრდილოვან ეკონომიკაში და მსხვილ თანხებს შოულობდნენ ე.წ. სპეკულაციის ხარჯზე (დეფიციტური საქონლის შავი ბაზრის ფასებად გაყიდვა). სოფლები კულაში და სურამი საკმაოდ აქტიურ სავაჭრო არალეგალურ ცენტრებს წარმოადგენდნენ.

ქართველი ებრაელების ალია 90-იან წლებშიც გრძელდებოდა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. შედეგად, ოფიციალური სტატისტიკით, თუ 60-იან წლებში ებრაული მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში შედაგენდა 35-40 ათას ადამიანს, 2000 წლისათვის (ანუ იმ დროისათვის, როცა ალია დასრულდა) ეს რაოდენობა 10 ათასზე ნაკლები იყო.

მაგრამ ებრაელები მაინც ინარჩუნებენ ძლიერ პოზიციებს საქართველოს პოლიტიკურსა თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში. ქართველ ოლიგარქთა უმრავლესობა ქართულ-ებრაული წარმოშობისაა, რომლებმაც კაპიტალი საზღვარგარეთ, კერძოდ, რუსეთში დააგროვეს. ებრაელ ბიზნესმენთა შორის უნდა აღინიშნოს აწ განსვენებული ბადრი პატარკაციშვილი, რუსეთში მცხოვრები მ. მირილაშვილი, დ. იაკობაშვილი, მ.მოსიაშვილი, შ. ბოტერაშვილი, ა. ნანიკაშვილი და სხვანი.

დასკვნა

ამდენად, ქართველ ებრაელებსა და საქართველოს შორის დღემდე არსებობს შესანიშნავი და თბილი ადამიანური ურთიერთობები, რომლებიც ეკონომიკურ და პოლიტიკურ დონეზეც ნარჩუნდება. „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ისრაელი-საქართველოს ურთიერთდამოკიდებულება გაფურჩქვნის ფაზაში შევიდა. ისრაელმა შეიძლება საქართველოს მოქალაქეებისათვის უვიზო რეჟიმიც კი შემოიღოს, მიუხედვად იმისა, რომ ორ ქვეყანას შორის დამოკიდებულებას ჩრდილი მიადგა წინა ხელისუფლების მმართველობის ბოლო წლებში. ეს გამოიწვია ორი ბიზნესმენის დაპატიმრებამ, რომლებიც ისრაელის მოქალაქეები არიან.

საქართველოს მთავრობაში ქართველი ებრაელები არაერთხელ იყვნენ წარმოდგენილნი უმაღლეს თანამდებობაზე. მაგალითად, წინა პრეზიდენტის მთავრობაში თავდაცვის მინისტრის პოსტს დავით კეზერაშვილი იკავებდა, ხოლო კონფლიქტების დარეგულირებას კი მინისტრი თემურ იაკობაშვილი ხელმძღვანელობდა, რომელსაც დღემდე აქვს მჭიდრო კავშირები სხვდასახვა ქვეყნის ებრაულ ორგანიზაციებთან. გარდა ამისა, მ. სააკაშვილის ერთ-ერთი მრჩეველი დიდი ხნის განმავლობაში იყო ფრანგი ებრაელი რაფაელ გლუკსმანი, ცნობილი ფილოსოფოსის, ანდრე გლუკსმანის ვაჟი.

ისრაელსა და ასქართველოს შორის არსებული ურთიერთობები დღესაც მაღალი დონისაა, იზრდება ტურისტების რაოდენობა ორივე ქვეყნიდან, ღრმავდება ეკონომიური თანამშრომლობა და ამ მეგობრობას არც ერთი მხრიდან არაფერი უქადის გაუარესებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „Новая имперская история постсоветского пространства"; სტატიების კრებული (ჟურნალის « ბ იმპერიო» სტატიების კრებული) / ე. ანისიმოვის რედაქციით, ყაზანი, 2014

2. *Динур Б.* Мир, которого не стало. Воспоминания и впечатления (1884–1914) // Мосты культуры. М.; Иерусалим, 2008.

3. Э. Мамиствалишвили, «История грузинских евреев», издание Всемирного конгресса евреев Грузии, 2015 год (http://www.georgianjews.org/stat.php?id=11&lang=ru)

4. http://shater-izhaka.ru/judaism/georgia/

5. Л. Эйчис, «Евреи в Грузии: 26 веков вместе», Лехаим, сентябрь 2001, Элул 5761 — 9 (113)

SOME OF THE GEORGIAN JEWISH HISTORY

MIKHAIL BARKAN
Doctoral Student of GTU
E-mail: barata49@mail.ru

Summary

The article reviews the historical friendship of Jews and Georgians which lasts 26 centuries. It is dedicated to the role and place of the Jews in Georgian state and religion History.

In addition, the article discusses some issues of cooperation between Georgia and Israel in economy, politics and other fields.

Keywords:
Georgian Jews
26th Century
Kevruli
Alia